საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 741

13 08 2018 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 24 იანვრის №51 ბრძანების გათვალისწინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 39-ე მუხლის, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 14 აგვისტოდან 2018 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ცენტრში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
3. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.

4. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
5. გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.
6. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის ფუნქციებია:
6.1 ცენტრის დებულებით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს ფუნქციას მიკუთვნებული საქმიანობის ხელმძღვანელობა - დაგეგმვა, კოორდინაცია, თანამშრომელთა მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხისა და დროულობის კონტროლი;
6.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და სააპელაციო საბჭოების სხდომების კოორდინაცია;
6.3 ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა;
6.4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მექანიზმების „ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან“ შესაბამისობაში მოყვანა და დანერგვა;
6.5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მექანიზმის განვითარების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა;
6.6 საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ავტორიზაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
6.7 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ინსტიტუციური შეფასების განხორციელების ხელშეწყობა;
6.8 სამმართველოს კომპეტენციიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა;
6.9 კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
6.10 დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა დებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;
6.11 ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
7. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) აკადემიური უმაღლესი განათლება: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეცნიერებების ან სამართალის მიმართულებით.
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების, მართვის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით;
გ) ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;
დ) სასურველია ქონდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.
ე) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) კარგად ცოდნა.
8. საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ბ) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
დ),,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანება;
ე),,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
ვ),,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;
ზ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის № 89/ნ ბრძანება.
თ) ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG);
ი) ბოლონიის პროცესის მარეგულირებელი აქტები.

9. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1,
საკონტაქტო ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.

10. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპეტენციები:
ა) ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
ბ) ცვლილებებისა და სიახლეების ინიცირების უნარი;
გ) დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
დ) გუნდური მუშაობის უნარი;
ე) სამუშაოს დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
ვ) ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
ზ) მაღალი მოტივაცია.

11. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge).

12. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა განაცხადს უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე.

13. კანდიდატის ავტობიოგრაფია უნდა ადასტურებდეს კანდიდატის შესაბამისობას ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აუცილებელია კანდიდატმა მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი).

14. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

15. კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:

ა) განაცხადებების გადარჩევა;

ბ) წერითი დავალება;

გ) გასაუბრება.

16. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს წერითი დავალებისა და გასაუბრების საფუძველზე.

17. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

18. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

19. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე